

2020/21 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში პარტნიორი ლუქსემბურგის უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი სტიპენდიის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და შერჩევის წესი

1. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებს შორის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის ფარგლებში სასწავლო სტიპენდიის კანდიდატების შერჩევა 2020/2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის.

2. კანდიდატები და სტიპენდიატები

კანდიდატები შეირჩევიან სტუდენტებს შორის, რომლებმაც განაცხადი გააკეთეს საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე (outgoingmobility@tsu.ge). სტიპენდიატებს შეარჩევს პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტი თსუ-ს შესარჩევი კომისიის მიერ მიწოდებული შეფასების საფუძველზე.

3. კანდიდატების შერჩევა

ა) კანდიდატების შერჩევა ხორციელდება თსუ-ს საკონკურსო კომისიასთან გასაუბრების გზით შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით

1. აკადემიური მოსწრების საერთო საშუალო ქულა (GPA)
2. მოტივაცია
3. მშობლიური და მასპინძელი უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამების/არჩეული საგნების თანხვედრა
4. ზეპირი პრეზენტაცია

4. კომისიის შეფასება

ა) აკადემიური მოსწრების საერთო საშუალო ქულა გამოითვლება სტუდენტის GPA-ის 10-ზე გამრავლებით; მაქსიმალური შესაძლო ქულა: 40 (4×10);

ბ) კომისია ახორციელებს კანდიდატის მოტივაციის, მშობლიური და მასპინძელი უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამების/არჩეული საგნების თანხვედრისა და ზეპირი პრეზენტაციის შეფასებას;

ბ) კანდიდატის მოტივაციის, მშობლიური და მასპინძელი უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამების/არჩეული საგნების თანხვედრისა და ზეპირი პრეზენტაციის შეფასება ხორციელდება არაუმეტეს 10 ქულით შემდეგი თანაფარდობით:

ბრწყინვალე -	10 ქულა
ძალიან კარგი -	9 ქულა
კარგი -	8 ქულა
დამაკმაყოფილებელი -	7 ქულა
საკმარისი -	6 ქულა
არადამაკმაყოფილებელი -	5 ქულა და ნაკლები

გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებს ენიჭებათ დამატებით 1 ქულა.

5. სტიპენდიატების გამოვლენა

სტიპენდიატების გამოვლენა ხდება თსუ-ს შესარჩევი კომისიის შეფასებისა და პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტის საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველზე.

